# მდგრადი განვითარება და მწვანე ეკონომიკა: რეტროსპექტული ანალიზი

**ცისკარა ზარანდია**
პროფესორი, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ბესიკ ცქიფურიშვილი**
დოქტორანტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**აბსტრაქტი**
სტატიაში განხილულია მდგრადი განვითარების ძირითადი მახასიათებლები, მისი შემადგენელი კომპონენტების არსი, ცალკეული კომპონენტის მნიშვნელობა მდგრადი განვითარების პარადიგმაში. მდგრადი განვითარების მოდელისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და აუცილებელ პირობას მისი მიღწევის საშუალებების, მეთოდებისა და ინსტრუმენტების განსაზღვრა წარმოადგენს. ნაშრომში ,,მწვანე ეკონომიკა" განხილულია, როგორც მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული სტრატეგიების დონეზე მიღწევის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი და ქმედით ინსტრუმენტი. მთავარი ცვლილებები, რომელიც მწვანე პროდუქტისა და მომსახურების მიმწოდებლებს ეხება შეიძლება ისეთ ტენდენციებში ავსახოთ, როგირიცაა ინოვაციური ბიზნეს-მოდელები, მოქნილი კორპორაციული სტრუქტურები, ვირტუალური პლატფორმები, ახალი კონკურენტები და ქსელური ეფექტები. ასევე გადმოცემულია „მწვანე ზრდის" არსი, „მწვანე ეკონომიკისა" და „მწვანე ზრდის" კონცეფციებს შორის განსხვავება.

**საკვანძო სიტყვები:** მდგრადი განვითარება, მწვანე ეკონომიკა, მწვანე ზრდა.
**JEL:** Q01; Q56
**DOI:** 10.52244/c.2024.11.35

ყველაზე ფართო განსაზღვრებით, მდგრადი განვითარება გულისხმობს ისეთ განვითარებას, რომლის დროსაც თანამედროვეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ხდება იმგვარად, რომ არ იზღუდება მომავალი თაობების მოთხოვნილებები.(UN Documents…). მიღებულია, რომ  მდგრადი განვითარება გულისხმობს დინამიკურ ეკონომიკურ ზრდას, სოციალურ პროგრესსა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას.  აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტერმინი ,,მდგრადი განვითარება" პირველად გამოჩნდა 1713 წელს, როდესაც დაიწერა გერმანული სატყეო ცნობარი და იგი გულისხმობდა ისეთი პრაქტიკის შემოღებას, რომლითაც მოიჭრებოდა გარკვეული რაოდენობის ხე, რაც მომავალში ხელს არ შეუშლიდა ტყის რეგენერაციას. (გერგედავა; ბლიაძე, 2022)

ეკონომიკური თვალსაზრისით მდგრადი განვითარების კონცეფციის წარმოშობა დაკავშირებულია  ტრადიციულად მიღებული ეკონომიკური ზრდის რაოდენობრივი

მოდელების გადაფასებასთან, მეოცე საუკუნის 70-იან წლებში ,,რომის კლუბის“ წარმომადგენელთა მიერ. როგორც ცნობილია, კლასიკური, კეინზიანური და ნეოკლასიკური ეკონომიკური ზრდის მოდელები აქცენტირებული არიან რაოდენობრივ ეკონომიკურ ზრდაზე, გაფართოებულ კვლავწარმოებაზე, რესურსების (ფაქტორების) ეფექტიან გამოყენებაზე, შემოსავლებისა და სარგებლის მაქსიმიზაციაზე. ამასთან, ნაკლები ყურადღება იყო გამახვილებული ეკონომიკური ზრდის შედეგად გარემოზე უარყოფით ზემოქმედებაზე, ეკონომიკური ზრდის შედეგების სამართლიან განაწილებაზე. ეკონომიკური ზრდის რაოდენობრივი მოდელების გადაფასება მოხდა 1972 წელს ,,რომის კლუბის“ წარმომადგენლების (დ. მედოუზი, დ. მედოუზი, ჯ. რანდერზი, უ. ბეჰრენზ III. (D.H.Meadows, D.H. Meadows, J. Randers, W.W. Behrens III)) მიერ მოხსენებაში ,,ზრდის ზღვარი“ (,,The Limits to Growth“) ( The Limits to growth...). აღნიშნულ მოხსენებაში წარმოდგენილი სპეციფიკური ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის საფუძველზე დამტკიცებულ იქნა, რომ რაოდენობრივი ზრდა შეჩერდება, რადგანაც არ მოდის წონასწორობაში ისეთ არაეკონომიკურ (გარე) ფაქტორებთან, როგორიცაა ეკოლოგიური, ბიოლოგიური, კულტურული, ფსიქოლოგიური ფაქტორები. აღნიშნული მოხსენება ითვლება პირველ (კლასიკურ) მოხსენებად მდგრადი განვითარების სფეროში. ამასთან, ყურადღების ცენტრი გადადის ზრდის არაერთგვაროვან ხასიათზე. კერძოდ, ზრდის მაღალი ტემპის პირობებში გარემო პირობებზე ნეგატიური ზემოქმედების შესაძლებლობაზე (მაღალ რისკზე) და შესაბამისად ხდება ტერმინების ,,ზრდა“ და ,,განვითარების“ გამიჯვნა. ამ მიმართულებით საყურადღებოა და ყველაზე გავრცელებულია ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტის უოლთ უითმენ როსთოუს (W.W. Rostow) მოსაზრება, რომელიც მკაფიოდ აყალიბებს განსხვავებას ზრდასა და განვითარებას შორის. კერძოდ, ზრდა მიმართულია ეკონომიკის მასშტაბების რაოდენობრივი ცვლილებისკენ, მის ფიზიკურ განზომილებაში, რაც გულისხმობს მატერიალური და ენერგეტიკული ნაკადების მოცულობისა და სიჩქარის ზრდას. მაშინ როცა განვითარება გულისხმობს ფიზიკურ მოცულობასა და ნაკადების სტრუქტურის, კონსტრუქციისა და კომპოზიციის სრულყოფას (Rostow, 1990). ამგვარად, ,,ზრდის ზღვარის“ კვლევის ფარგლებში ხდება ,,მდგრადი განვითარების“ ტერმინის თანამედროვე გაგებით ჩამოყალიბება.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მდგრადი განვითარების კონცეფციაში უკავშირდება გაეროს გარემოს დაცვისა და განვითარების კომისის (ბრუთლანდის კომისია) ხელმძღვანელს, ნორვეგიის პრემიერ-მინისტრს გ. ჰ. ბრუთლანდს (Gro Harlem Brundtland), რომლის ხელმძღვანელობითაც 1987 წელს წარმოდგენილ იქნა ანგარიში მდგრადობის შესახებ (,,ჩვენი საერთო მომავალი“)(Report of the World Commission...). სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული მდგრადი განვითარების ყველაზე ცნობილი და დღეისთვის ყველაზე გავრცელებული განმარტება: ,,მდგრადი განვითარება - ესაა ისეთი განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს მიმდინარე პერიოდის მოთხოვნილებებს, მაგრამ საფრთხის ქვეშ არ აყენებს მომავალი თაობების შესაძლებლობებს უზრუნველყონ თავიანთი მოთხოვნილებები“.

მდგრადი განვითარების პრობლემების განსაკუთრებული აქტუალიზება 2012 წელს ბრაზილიის ქალაქ რიო-დე-ჟანეიროში გაეროს მდგრადი განვითარების კონფერენციის

,,რიო +20 მომავალი, რომელიც ჩვენ გვინდა“, შემდგომ მოხდა. აღნიშნული კონფერენციაზე (50 000-მდე მონაწილე) საბოლოოდ ჩამოყალიბდა ის ძირითადი კომპონენტები, რომლისგანაც მდგრადი განვითარება შედგება. კერძოდ, დეკლარაციაში საუბრობენ მდგრადობის ყველა ასპექტის თანასწორობაზე: „აქედან გამომდინარე, ჩვენ ვაღიარებთ მდგრადი განვითარების საჭიროებას ყველა დონეზე, ინტეგრირება. ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი ასპექტები და მათი ურთიერთდამოკიდებულების აღიარება, რათა მივაღწიოთ მდგრადი განვითარების ყველა ასპექტს“ (UN General Assembly Resolution...). 2012 წლის რიო +20 კონფერენციაზე აღიარებულ იქნა რომ მდგრადი გაანვითარება ორიენტირებულია პირველ რიგში ადამიანზე და გამოდის მსოფლიოს სამართლიანობის, თანასწორობისა და ინკლუზიურობის პრინციპებზე მოწყობის აუცილებლობის წინადადებით. ამისთვის კი საჭიროა ერთობლივი ძალისხმევა მდგრადი და ინკლუზიური ზრდა, სოციალური განვითარება (UN General Assembly Resolution ...)

ამგვარად, მდგრადი განვითარების პარადიგმა სამი - ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი კომპონენტისაგან შედგება. აღნიშნული კომპონენტების დახასიათებისთვის დღეისთვის ყველაზე ცნობილი და ფართოდ მიღებული მიდგომები შემდეგ მეცნიერებს რ. სოლოუს (R. Solow) და რ. რეპეთოს (R.C.Repetto) ეკუთვნით. მათ მიერ დახასიათებულია მდგრადი განვითარების ცალკეული კომპონენტების არსი, მდგრადი განვითარების დადებითი და უარყოფითი მომენტები, ცალკეული კომპონენტის მნიშვნელობა მდგრადი განვითარების პარადიგმაში.

კონკრეტულად, ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი რობერთ სოლოუ (Solow, 1991) მდგრად განვითარებასთან მიმართებით ორ ძირითად მიმართულებას განიხილავს. პირველი - მისი აზრით, მოსახლეობის ზრდა განვითარებადი ქვეყნების პრობლემას წარმოადგენს, მეორე - ღარიბებს სურთ მოიხმარონ, მაგრამ არ შეუძლიათ (არ ახდენენ) მომავალში ინვესტირება, რაც იწვევს განვითარებისა და ბაზრის გაფართოების მცდარ, არასწორ დაკავშირებას. ამიტომაც საჭიროა ისეთი მოდელის შექმნა, რომელიც ერთმანეთს დაუკავშირებს განვითარებასა და მდგრადობას როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებში. თავის ,,ზრდის თეორიაში“ რ. სოლოუ აღნიშნავს, რომ მდგრადობის სამ კომპონენტს შორის ყველაზე მნიშვნელოვანს გარემო პირობები წარმოადგენს და გარემოს დაცვის მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ინვესტირება. ამასთან, ყურადღებას ამახვილებს მდგრადობის უარყოფით ასპექტებზეც.

მდგრადობის არსებით პრობლემას რ. სოლოუ ხედავს კაპიტალის გადანაწილებაში აწყმოსა და მომავალს შორის ანუ პრაქტიკაში ესაა პრობლემა ინვესტირებასა და დაზოგვას შორის. აღნიშნულის გარდა, მდგრადობა წარმოადგენს არჩევანის პრობლემას მიმდინარე მოხმარებასა და მომავალ უზრუნველყოფას შორის.

მდგრადი განვითარების ეკონომიკურ კომპონენტზე საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს რ. რეპეთო (Repetto, 1986). მისი დახასიათებისას მეცნიერი მიუთითებს, რომ მდგრადობის ძირითადი იდეაა მიმდინარე გადაწყვეტილებებმა არ უნდა გააუარესონ მომავალში ცხოვრების დონის გაუმჯობესების პერსპექტივები. აღნიშნული კი გულისხმობს ეკონომიკური სისტემების ისეთნაირ მართვას, რომ შევძლოთ ცხოვრება ჩვენი რესურსების დივიდენდების ხარჯზე. იგი პლანეტის რესურსებს საბანკო ანგარიშის მსგავსად

განიხილავს. მისი მოსაზრებით მდგრადი განვითარების უზრუნველყოფისთვის აუცილებელია საბანკო დეპოზიტებზე არსებული თანხიდან მიღებული სარგებლის ხარჯვის მსგავსად მოხდეს პლანეტის რესურსების ხარჯვა.

ქართულ ეკონომიკურ მეცნიერებაში მდგრადი განვითარების საკითხები ნაკლებადაა წარმოდგენილი, ასევე, ჯერ-ჯერობით არ გვაქვს ისეთი ნაშრომები, სადაც განხილული იქნებოდა მწვანე ეკონომიკის როლი მდგრად განვითარებაში, მისი ცალკეული ასპექტები, ძირითადი მიმართულებები, მისი ორგანიზაციული და ინსტიტუციური მახასიათებლები. მდგრადი განვითარების განხილვისას მიღებულია მისი წარმოდგენა ეკონომიკური უსაფრთხოების ასპექტში. აღნიშნულ საკითხზე არსებულ ნაშრომებს შორის ერთ-ერთი პირველი და ფუნდამენტური ნაშრომია აკადემიკოს ნ. ჭითანავას ხელმძღვანელობით სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერთა მიერ წარმოდგენილ ნაშრომში, საქართველოს ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პროგრამა, ,,საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია.“ (საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია…) აღნიშნულ ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების არსებული მდგომარება, რაოდენობრივი დახასიათებისთვის საჭირო ზღვრული და საერთო ინდიკატორები. საქართველოს ეკონომიკის მდგრადი და უსაფრთხო განვითარების პესიმისტური, ოპტიმისტური და რეალისტური სცენარები 2020 წლამდე პერიოდისთვის. ამასთან, ნაშრომი შემუშავებულია 2003 წელს და ცხადია მასში ვერ აისახებოდა მიმდინარე ეტაპზე მდგრადი განვითარების კონცეფციის ძირითადი მიმართულებები და ვერც 2015 წლის სამიტის მიერ დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულების მიმდინარეობა მსოფლიოსა და საქართველოში, ასევე ნაშრომში არაა განხილული მწვანე ეკონომიკის როლი მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში.

აღსანიშნავია, რომ ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში, მდგრადი განვითარების არსის განხილვისას, ყველაზე ხშირად გამოიყენება გაეროს მიერ წარმოდგენილი განმარტება, რომლის მიხედვითაც ,,მდგრადი განვითარება არის საზოგადოების განვითარება, რომელიც საშუალებას იძლევა ახლანდელი თაობების მოთხოვნების დაკმაყოფილებისა ისე, რომ არ დააზარალოს ის შესაძლებლობები, რასაც მომავალ თაობებს მათი საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მემკვიდრეობით დაუტოვებს“ (ბარათაშვილი და სხვა, 2017).

მდგრადი განვითარების არსის დახასიათებისას ასევე გამოიყენება წარმოდგენილი განმარტების უფრო ლაკონური ვარიანტი, რომელიც გარემოს განვითარების მსოფლიო კომისიის (ბრუთლანდის კომისია) განმარტებიდან გამოდის. კერძოდ, ,,მდგრადი განვითარება არის ისეთი განვითარება, რომელიც აკმაყოფილებს თანამედროვე თაობის საჭიროებებს მომავალი თაობის საჭიროებების გათვალისწინებით“ (ბარათაშვილი და სხ., 2022). მეცნიერთა აღნიშნული ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა მდგრადი განვითარების არსის, მისი გენეზისის, მდგრადი განვითარების ცალკეული კრიტერიუმებისა და ინდიკატორების, მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაში საერთაშორისო ორგანიზაციების როლის ცალკეული ასპექტები (ბარათაშვილი და სხვ., 2022).

ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში, ცალკეულ მკვლევართა მიერ ასევე მიღებულია ,,მდგრადი განვითარების“ მოდელის წარმოდგენა ევროპული კონსტიტუციის შემადგენელ ნაწილად, რადგან ,,დღესდღეობით კეთილდღეობის, ცხოვრების ხარისხის ევროპული ცნება, გარდა წმინდა ეკონომიკური მახასიათებლებისა (მთლიანი შიდა პროდუქტი და მისი დინამიკა) მოიცავს ადამიანის უსაფრთხოებას და ჯანმრთელობას, ღირსეული მუშაობის და სრულფასოვანი დასვენების შესაძლებლობას, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას, კომფორტულ და უსაფრთხო სოციალურ გარემოს, და აგრეთვე თაობათა სოლიდარობას - უზრუნველყოფილ სიბერეს მოხუცებისთვის და დღეს არსებულ ან უკეთეს ფიზიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ გარემოს მომავალი თაობებისთვის. ყოველივე ამას ევროპელები ცხოვრების ხარისხს უწოდებენ. ეს მიდგომა ფაქტობრივად ევროპული ფასეულობების ქვაკუთხედია“ (თოდუა და მურღულია). ამასთან, აღნიშნული ავტორები მდგრადი განვითარების არსის წარმოდგენისას აქცენტს მდგრადი განვითარების განსაზღვრისთვის საყოველთაოდ მიღებული სამი მდგენელის - ეკონომიკური ზრდის (წინსვლის), სოციალური სამართლიანობისა და ფიზიკური და ბუნებრივი გარემოს დაბალანსებაზე აკეთებენ.

ზოგიერთი ქართველი მკვლევარი მდგრადი განვითარების ცალკეული ასპექტების განხილვას უკავშირებს თანამედროვე კაცობრიობის მთავარ პრობლემას კერძოდ, ,,სამი უმთავრესი კრიზისის: ეკონომიკური, სასურსათო და ეკოლოგიური კრიზისის გადალახვა“-ს (ნოზაძე, 2017). როგორ ვხედავთ, მდგრადი განვითარების არსის განხილვისას კვლავაც ცნობილი ეკონომიკური ზრდის, ეკოლოგიური დაცვისა და სოციალური განვითარების მდგენელებია წარმოდგენილი.

ასევე მიღებულია მდგრადი განვითარების წარმოდგენა ფილოსოფიად, რომელიც აღწერს ზოგად იდეებს, ტრენდებს, კონცეფციას (აბულაძე, 2023). ამასთან, მისი არსი საყოველთაოდ მიღებულ სამ მიმართულებაზე - ეკონომიკურ ზრდაზე, სოციალურ განვითარებასა და გარემოს დაცვაზეა კონცენტრირებული.

უსაფრთხო და მდგრადი განვითარების პირობების გასაანალიზებლად, ამ სფეროში ძირიდადი მიმართულებებისა და ორიენტების დასახვისთვის ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წელს დამტკიცებული ,,საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია,“ (საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია...) რომელშიც წარმოდგენილია საქართველოს ფუნდამენტური ეროვნული ღირებულებები, საქართველოს ეროვნული ინტერესები, ეროვნული უსაფრთხოების წინაშე მდგარი საფრთხეები, რისკები და გამოწვევები. ცხადია, კონცეფციაში წარმოდგენილია ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკა, სოციალური უსაფრთხოების პოლიტიკა და ეკოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკა. ამასთან, ცხადია რომ აუცილებელია კონცეფციაში თანამედროვე რეალიების გათვალისწინება, მდგრადი განვითარების სფეროში 2005 წლის შემდგომი პერიოდის, განსაკუთრებით 2015 წლის სექტემბერს მსოფლიოს სახელმწიფოთა ლიდერთა მიერ მდგრადი განვითარების სამიტზე ნიუ იორკში (აშშ) მსოფლიოს განვითარების ახალი დღის წესრიგის – მდგრადი განვითარების მიზნების გათვალისწინება.

მდგრადი განვითარების მოდელისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და აუცილებელ პირობას მისი მიღწევის საშუალებების, მეთოდების, ინსტრუმენტების განსაზღვრა

წარმოადგენს. სწორედ ,,მწვანე“ ეკონომიკა განიხილება მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული სტრატეგიების დონეზე მიღწევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ქმედით ინსტრუმენტად.

სავარაუდოდ, პირველად ტერმინი ,,მწვანე“ ეკონომიკა გამოყენებულ იქნა ცნობილი ეკონომისტების დეივიდ პირსის ( David Pearce), ენილ მარკანდისა (Anil Markandya) და ედვარდ ბარბიერის (Edward B. Barbier) მიერ, 1989 წელს, დიდი ბრიტანეთის მთავრობისთვის მომზადებულ მოხსენებაში ,,გეგმა მწვანე ეკონომიკისთვის”(,,Blueprint for a Green Economy”). აღნიშნული მოხსენების მიზანი იყო მთავრობისთვის წარედგინათ ,,მდგრადი განვითარების“ საერთო შინაარსი და მისი მახასიათებლები. მოხსენებაში პირველად იქნა განხილული თანამედროვე ეკონომიკის ,,გამწვანებისა“ და მდგრადი განვითარების პირობებისადმი ადაპტაციის პოლიტიკური ასპექტები (Blueprint..., 2007).

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან პირველმა, გაეროს გარემოს დაცვის პროგრამამ 2008 წელს წარადგინა ,,მწვანე ეკონომიკის ინიციატივა“ (Green Economy Initiative), რომლის ფარგლებშიაც დაინერგა ყველა ქვეყანაში ,,მწვანე“ ეკონომიკაზე გადასვლის დასაბუთებისა და საფუძვლის ფორმირებისთვის, ცალკეული ორგანიზაციების ფართო წრისთვის საკონსულტაციო მომსახურების მიწოდება და ანალიტიკური მასალების მომზადება (Green Economy initiative ...).

2012 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ #64/236 რეზოლუციაში ჩართო თემა ,,მწვანე ეკონომიკა მდგრადი განვითარების, სიღარიბის დაძლევისა და მდგრადი განვითარების ინსტიტუციური საზღვრების ფარგლებში.“ (Programme for the Further …)

ასევე ცნობილია გაერთიანებული ერების ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის (UNCTAD) (2011 წ) განსაზღვრება, რომლის მიხედვითაც ,,მწვანე“ ეკონომიკა ესაა ,,...ეკონომიკა, რომელსაც მივყავართ ადამიანთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და უთანასწორობის შემცირებისკენ, ამასთან არ იწვევს მომავალი თაობისთვის გარემოსთვის არსებით რისკებსა და მათ გაღარიბებას“. ასევე საყურადღებოა გაეროს მდგრადი განვითარების კონფერენციის (UNCSD) (2012 წელი) მიერ შემოთავაზებული განსაზღვრება, რომლის მიხედვითაც ,,მწვანე“ ეკონომიკის“ ,,...როგორც ეკონომიკური და ეკოლოგიური მიზნების ერთროულად მიღწევისთვის ყურადღებისა და შესაძლებლობების ფოკუსირების ობიექტივი“. ოქსფორდის ეკონომისკის მკვლევართა ჯგუფი ასევე წარმოგვიდგენს მსგავს განმარტებას ,,მწვანე ეკონომიკა გულისხმობს ეკონომიკური აქტივობის გამიჯვნას გარემოზე უარყოფითი ზემოქმედებისგან.“ (The Global Green Economy ...:7). ევროპის გარემოს სააგენტო (EEA) მიხედვით ,,მწვანე“ ეკონომიკა ,,...ესაა ის ეკონომიკა, რომელშიაც პოლიტიკა და ინოვაციები საშუალებას აძლევენ საზოგადოებას ეფექტიანად გამოიყენონ რესურსები, ინკლუზიურად აამაღლონ ადამიანთა კეთილდღეობა და ამავდროულად, შეინარჩუნონ ჩვენი ხელშემწყობი ბუნებრივი რესურსები“ (A guide to the green..., 2012: 9, 63).

აღსანიშნავია პროფ. რ აბესაძის ნაშრომი ,,მწვანე“ ეკონომიკა (აბესაძე, 2022), რომელშიაც წარმოდგენილია მწვანე ეკონომიკის ისტორია, ,,მწვანე“ და ,,ყვითელი“ ეკონომიკის დეფინიციები, ბუნებრივი კაპიტალის არსი, ,,მწვანე“ ზრდისა და ,,მწვანე“ დასაქმების, ინოვაციური ეკონომიკის, ეკონომიკური განვითარებისა და ,,მწვანე ეკონომიკის პირობები, ,,მწვანე“ ეკონომიკა საქართველოში. ნაშრომის ფორმატიდან გამომდინარე აღნიშნული

საკითხები განხლულია ლაკონურად, ინფორმაციულ ხასიათზე აქცენტირებით, ყურადღება გამახვილებულია იმ ინსტიტუციურ ბაზაზე, რომელიც არის საქართველოში ,,მწვანე" ეკონომიკის განვითარებისთვის. გამოთქმულია მოსაზრება რომ საქართველო „მწვანე" ეკონომიკაზე სწრაფ გადასვლას ვერ მოახერხებს, ვინაიდან „მწვანე" ეკონომიკაზე გადასვლა დამოკიდებულია ეკონომიკის განვითარების საერთო დონეზე.

,,მწვანე" ეკონომიკის თეორიულ საკითხებზე, საქართველოში მწვანე ეკონომიკის განვითარებაზე საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს პროფ. დ. ბიძინაშვილი სამეცნიერო სტატიაში ,,მწვანე ეკონომიკა, როგორც ყველაზე მაღალი კაპიტალიზაციის მოტანის საშუალება საქართველოში" (ბიძინაშვილი, 2017). იგი აღნიშნავს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამის „მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (EaP GREEN) და მისი რესურსეფექტური და სუფთა წარმოების (RECP) სადემონსტრაციო კომპონენტის მნიშვნელობასა და მიღწეულ შედეგებზე საქართველოში მწვანე ეკონომიკის განვითარების სფეროში. ავტორი გვთავაზობს სოფლის მეურნეობის სექტორის გადასახადებისგან სრულად გათავისუფლებას, როგორც საქართველოში ბიოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების ზრდის სტიმულირების მიმართულებას. თუმცა ნაშრომის ფორმატიდან გამომდინარე, მასში არაა წარმოდგენილი აღნიშნული ღონისძიების განხორციელების კონკრეტიზაცია, მოსალოდნელი რისკები და მიღებული შედეგები.

ასევე აღსანიშნავია პროფესორ მ. გელაშვილის მეცნიერული პუბლიკაციები ,,მწვანე" ეკონომიკის პრობლემებზე. სტატიაში ,,„მწვანე" ეკონომიკა - მიზნები და უპირატესობები" ავტორის მიერ წარმოდგენილია ,,მწვანე" ეკონომიკის თეორიული ასპექტები, მწვანე ეკონომიკასა და მდგრად განვითარებას შორის არსებული მჭიდრო კავშირი (გელაშვილი, 2022: 82-87). ხოლო მეორე სტატიაში ,,...მწვანე ეკონომიკის" ფაქტორთა გავლენა სიღარიბის დონის მაჩვენებელზე" განხილულია სიღარიბის დონის განსაზღვრისა და „მწვანე ეკონომიკის" შესწავლის არსებული მიდგომები. ევროპის ქვეყნების მაგალითზე, წარმოდგენილია სიღარიბის დონესა და მწვანე ეკონომიკას შორის არსებული უკუკავშირი. ცალკეული ფაქტორების ფორმირების გზით ავტორი აყალიბებს ,,მწვანე" ეკონომიკის სიღარიბის დონეზე გავლენის კორელაციურ-რეგრესიულ მოდელს (გელაშვილი, 2023).

**ამგვარად, მწვანე ეკონომიკის არსებული დეფინიციების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ,,მწვანე" ეკონომიკა ესაა მდგრად განვითარებაზე დამყარებული ეკონომიკური მოდელი, რომელიც მიმართულია ადამიანთა კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და სოციალური სამართლიანობის უზრუნველყოფისაკენ, მომავალი თაობებისთვის ეკოლოგიური რისკების გარეშე.**

მიღებულია, რომ მწვანე ეკონომიკის ძირითადი სექტორებია: განახლებადი ენერგია (მზის, ქარის, გეოთერმული, საზღვაო, მათ შორის, ტალღების, ბიოგაზის და სითბური უჯრედების ენერგია); მწვანე შენობები (ენერგიის მწვანე მოდიფიკატორები, მწვანე პროდუქტები და მასალები); სუფთა ტრანსპორტი (ალტერნატიული საწვავი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ჰიბრიდული და ელექტრო სატრანსპორტო საშუალებები); წყლის მენეჯმენტი (წყლის და წვიმის გამწმენდი სისტემები, შიდა წყლის ლანდშაფტი, წყლის გამოყენება); ნარჩენების მართვა (უტილიზაცია, მუნიციპალური ნარჩენი, მასალების გამოყენება, ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება, გაწმენდა); მიწის მართვა

(ორგანული სოფლის მეურნეობა, ურბანული ტყეები და პარკები, ტყეების განაშენიანება) (სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა....).

ზოგჯერ ხდება ,,მწვანე ეკონომიკის" გვერდით ტერმინის ,,მწვანე ზრდა" გამოყენება. სავარაუდოდ, ,,მწვანე ზრდა" პირველად გამოყენებულ იქნა 2005 წელს სეულში, აზიისა და წყნარი ოკიანის რეგიონის ქვეყნების მინისტრთა გარემოსა და განვითარების კონფერენციაზე. აღნიშნული კონფერენციის დეკლარაციაში მოცემულია, რომ მწვანე ზრდა ესაა ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბესთან ბრძოლისთვის სამუშაო ადგილების შექმნის მხარდამჭერი სტრატეგია, ბუნებრივი რესურსებისად და კლიმატის შენარჩუნების (დეპრივაციის) პირობებში. იქვე აღინიშნა, რომ მწვანე ზრდისთვის აუცილებელია ტრადიციული მიდგომების ნაცვლად მდგრადი განვითარების სამ - ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოს დაცვის მახასიათებლებზე ორიენტირება (MCED Ministerial Declaration…). მსოფლიო ბანკი თავის კვლევებში არ იყენებს ტერმინს ,,მწვანე ეკონომიკა", უპირატესობას ანიჭებს ,,მწვანე ზრდას"ს და განსაზღვრავს მას, როგორც ,,ეკოლოგიურად სიცოცხლისუნარიან ეკონომიკურ ზრდას." (Inclusive Green Growth ..., 2012).

აღნიშნული მიდგომით ,,მწვანე ეკონომიკა" და ,,მწვანე ზრდა" იდენტურია. თუმცა არსებობს მიდგომა, რომლის მიხედვითაც ამ კონცეფციებს შორის შეიმჩნევა გარკვეული განსხვავება. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD. Towards Green Growth…, 2011), მიხედვით ,,მწვანე ზრდა" არის პოლიტიკური მიდგომა, რომლის დროსაც მთავარი ამოცანაა ეკონომიკური ზრდის ისეთი ახალი გზების ძიება, რომელიც იქნება ეკოლოგიურად და სოციალურად მდგრადი. იგი მიმართულია ეკონომიკური ზრდისა და განვითარების გამყარებისკენ და ამავდროულად, უზრუნველყოფს ადამიანთა კეთილდღეობასთან დაკავშირებული ბუნებრივი აქტივების შენახვას და მის მიერ რესურსებისა და ეკოსისტემის მომსახურებათა უწყვეტ მიწოდებას.

**დასკვნა.**

მდგრადი განვითარების მოდელისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და აუცილებელ პირობას მისი მიღწევის საშუალებების, მეთოდების, ინსტრუმენტების განსაზღვრა წარმოადგენს. სწორედ ,,მწვანე" ეკონომიკა განიხილება მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული სტრატეგიების დონეზე მიღწევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ქმედით ინსტრუმენტად.

მსოფლიოში ,,მწვანე" ეკონომიკის განვითარების პრაქტიკის შესწავლა-ანალიზი გვიჩვენებს, რომ:

- ,,მწვანე" ეკონომიკის ახალი მიმართულებების და ეკოლოგიური ინოვაციების წახალისება მოითხოვს საბაზრო და პოლიტიკურ სტიმულებს. ამ თვალსაზრისით ინოვაციებს შეუძლიათ ისეთი სარგებელის მოტანა, როგორიცაა: სამუშაო ადგილების შექმნა, გარემოზე ზეწოლის შემცირება, ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთთანამშრომლობის შედეგად ხორციელდება მანამდე ბიზნესის თვალსაზრისით უპერსპექტივო მიმართულების ბიზნესისთვის მიმზიდველ სფეროებად ჩამოყალიბება;
- ,,მწვანე" ეკონომიკის განვითარებაში არსებითი წარმატებები გააჩნიათ იმ ქვეყნებს რომლებიც ამ სფეროში ახდენენ კერძო და სახელმწიფო ინვესტიციების აქტიურ შერწყმას;

- ქვეყნები, რომლებსაც გააჩნიათ ბუნებრივი რესურსები (წყლის რესურსები, ქარის, მზის ენერგია და ა.შ.) ,,მწვანე“ ეკონომიკის განვითარებისთვის, პირველ რიგში ხელს უწყობენ ამ რესურსების ეკოლოგიურ და ენერგოეფექტურ, გამოყენებას, ხოლო ქვეყნები სადაც ასეთი რესურსები არ გააჩნიათ, სტიმულირებას უკეთებენ ახალი ტექნოლოგიების დანერგვას (მაგ. ნარჩენების თერმული დამუშავება, ნარჩენების კონსერვაცია, ცირკულარული ეკონომიკის პრინციპების დანერგვა და ა.შ.). ცხადია, ქვეყნების ორივე ჯგუფში ხორციელდება რესურსების ეკოლოგიური, ენერგოეფექტური გამოყენება, ინოვაციებისა, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ,,მწვანე“ ეკონომიკის დარგში კონკურენტუნარიანი გარემოს ფორმირების ღონისძიებები;
- საგადასახადო სისტემას გააჩნია ,,მწვანე“ ეკონომიკის სტიმულირების აქტიური ფუნქცია იმ პროცესების დესტიმულირებით, რომლებიც ზიანს აყენებენ გარემოს;
- ,,მწვანე“ ეკონომიკაში წარმატებები და მნიშვნელოვანი მიღწევები აქვთ განვითარებულ ქვეყნებს, მაგრამ ეკოლოგიური პრობლემები სულ უფრო აქტუალური ხდება განვითარებადი ქვეყნებისთვის.

მთავარი ცვლილებები, რომელიც მწვანე პროდუქტისა და მომსახურების მიმწოდებლებს ეხება შეიძლება შემდეგ ხუთ ტენდენციაში ავსახოთ:

- ✓ ინოვაციური ბიზნეს-მოდელები ცვლიან ძველ ბიზნეს-მოდელებს;
- ✓ ტრადიციული კორპორაციული სტრუქტურები უფრო მოქნილები ხდებიან;
- ✓ ვირტუალური პლატფორმები იწვევენ ბაზრის დიზაინში არსებით ცვლილებებს;
- ✓ ახალი კონკურენტები უფრო ადვილად აღწევენ ფასეულობათა ჯაჭვის სუსტ ადგილებში;
- ✓ ქსელური ეფექტები გამოდის, როგორც ახალი, მყარი კონკურენტული უპირატესობა.

**გამოყენებული ლიტერატურა**


აბესაძე რ. ,,მწვანე“ ეკონომიკა. 2022. https://eas.tsu.ge/ეკონომიკა/მწვანე ეკონომიკა/8479/

აბულაძე კ. მდგრადი განვითარების ESG ფაქტორები ტურისტულ ბიზნესსა და საგანმანათლებლო პროგრამებში. ჟურ. ,,სპექტრი“, 2023, #8(2).

ბლიაძე მ. მდგრადი განვითარების მიზნები. თბილისი, 2022.

ბარათაშვილი ე., მახარაშვილი-ბარათაშვილი ი., ზარანდია ჯ. ,,მდგრადი განვითარების საკითხისთვის“. პროფ გ. წერეთლის დაბადებიდან 85-ე წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული ,,ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები“. თბილისი, 2017.

ბარათაშვილი ე., ნასარაია ზ., გალახვარიძე ნ., მამულაშვილი ლ. საქართველოს ეკონომიკა. თბილისი, 2022.

ბიძინაშვილი დ. ,,მწვანე ეკონომიკა, როგორც ყველაზე მაღალი კაპიტალიზაციის მოტანის საშუალება საქართველოში“. თსუ, პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი. პროფ. გიორგი წერეთლის დაბადებიდან 85-ე წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული ,,ეკონომიკური

განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები“. თბილისი, 2017. https://conferenceconomics.tsu.ge/

გელაშვილი მ. „მწვანე“ ეკონომიკა - მიზნები და უპირატესობები. ბიზნესი და კანონმდებლობა, 2022, 15(2), 82–87. https://ojs.b-k.ge/index.php/bk/article/view/764

გელაშვილი მ. „მწვანე ეკონომიკის“ ფაქტორთა გავლენა სიღარიბის დონის მაჩვენებელზე , ჟურ. ,,ბიზნესი და კანონმდებლობა“: ტომი. 16 N. 2 (2023): https://ojs.b-k.ge/index.php/bk/article/view/809

გერგედავა მ. მდგრადი განვითარების ისტორია. https://sustainability.ge/sustainable-development-history/

თოდუა ლ., მურღულია შ. მდგრადი განვითარება და საქართველოს რეფორმები. საქართველოს სტრატეგიული კვლევების და  განვითარების ცენტრი. http://weg.ge/sites/default/files/lia_shota_geo.pdf  .

ნოზაძე დ. ,,მდგრადი განვითარება და მისი ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური საკითხები“. პროფ გ. წერეთლის დაბადებიდან 85-ე წლისადმი მიძღვნილი საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული ,,ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები“. თბილისი, 2017.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. საქართველო.მდგრადი განვითარების მიზნები. https://georgia.un.org/ka/sdgs

,,გაერო საქართველოში. მდგრადი განვითარების მიზნები“. http://www.ungeorgia.ge/geo/sutainable_development_goals#.WiLgSCugfIV

მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტი http://www.iccn.ge/files/national_matrix_explanatory_paper_georgia_geo.pdf

საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფცია. ვ. მელქაძის სახ. სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების ს/კ ინსტიტუტი. თბილისი, 2003.

,,საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/43156?publication=0

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. მწვანე ეკონომიკა/სექტორული მიმოხილვა. https://eiec.gov.ge/Home.aspx/Topics/OverView/15

UN Documents Gathering a body of global agreements ,, Our Common Future, From One Earth to One World“  http://www.un-documents.net/ocf-ov.htm#1.2 .

,,The Limits to growth; interview with the President of the Club of Rome, Aurelio Peccei“. https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000050609  https://www.clubofrome.org/about-us/history

Rostow, W.W. Theorists of economic growth from D. Hume to the Present / W.W. Rostow. – Oxford: Oxford University Press, 1990. – 736.

Report of the World Commission on Environment and Development: Our Common Future https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/5987our-common-future.pdf .

UN General Assembly Resolution 66/288. The Future We Want. para. 3. https://www.un.org/en/development/desa/population/migration/generalassembly/docs/globalcompact/A_RES_66_288.pdf

Solow, R.M. (1991) Sustainability: an economist's perspective. Paper presented at the XVIII J. Seward Johnson Lecture to the Marine Policy Center, Woods Hole ceanographic Institution at Woods Hole, Massachusetts, on June 14, 1991.

Repetto, R. C. World enough and time: Successful strategies for resource management. Yale University Press. New Haven, Connecticut. 1986.

Mainstreaming the 2030 Agenda for Sustainable Development. https://unsdg.un.org/2030-agenda

Blueprint for a Green Economy. Submission to the Shadow Cabinet. Quality of Life Policy Group Chairman, Rt Hon John Gummer MP Vice-Chairman, Zac Goldsmith. September 2007. https://www.researchgate.net/publication/39015804_Blueprint_for_a_Green_Economy

Green Economy initiative. https://unece.org/fileadmin/DAM/timber/meetings/07-unep-eaton.pdf

Programme for the Further Implementation of Agenda 21 and the outcomes of the World Summit on Sustainable Development (A/RES/64/236). https://www.iom.int/jahia/webdav/shared/shared/mainsite/policy_and_research/un/64/a-res-64-236.pdf

Towards a Green Economy: Pathways to Sustainable Development and Poverty Eradication - A Synthesis for Policy Makers. UNEP, 2011. www.unep.org/greeneconomy

A guide to the green economy. Issue 1: Green Economy, Green Growth, and LowCarbon Development - history, definitions and a guide to recent publications. Division for Sustainable Development, UNDESA. 2012. P. 64. https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/GE%20Guidebook.pdf

A Guidebook to the Green Economy. Issue 2: exploring green economy principles. United Nations Division for Sustainable Development, UNDESA.2012. P.24.

https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/743GE%20Guidebook%202%20-%20Principles_final.pdf

The Transition to a Green Economy: Benefits, Challenges and Risks from a Sustainable Development Perspective. UNDESA, UNEP, UNCTAD. 2024. https://plagiarism.repec.org/trica-papuc/trica-papuc2.pdf

What does green economy mean? UNECE. https://www.unece.org/sustainable-development/green-economy/what-does-green-economy-mean.html

MCED Ministerial Declaration. Preamble. p. 8, 19. E/ESCAP/MCED(05)/Rep. http://www.unescap.org/sites/default/files/1.%20Report%20of%20the%20Ministerial%20Conference%20on%20Environment%20and%20Development%20in%20Asia%20and%20the%20Pacific%2C%202005.pdf

Inclusive Green Growth: the Pathway to Sustainable Development. .P.1.Washington, D.C.: World Bank, 2012.

OECD. Towards Green Growth. A Summary for Policy Makers. May 2011.

The Global Green Economy Index. Dual Citizen. https://dualcitizeninc.com/global-green-economy-index

The Global Green Economy Index ™. Measuring National Performance in the Green Economy. GGEI 2018. https://dualcitizeninc.com/global-green-economy-index

GREEN GROWTH INDEX 2020. December 2020. GGGI TECHNICAL REPORT NO. 16. Measuring performance in achieving SDG targets. https://greengrowthindex.gggi.org/

The EU Green Deal explained. https://www.nortonrosefulbright.com/en-nl/knowledge/publications/c50c4cd9/the-eu-green-deal-explained

European Commission, A Clean Planet for all, COM/2018/773, https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52018DC0773%2801%29&qid=1612807472609

European Commission, A new Circular Economy Action Plan, COM/2020/98. https://environment.ec.europa.eu/strategy/circular-economy-action-plan_en

# Sustainable Development and the Green Economy: A Retrospective Analysis

**Tsiskara Zarandia**
Professor, Samtskhe-Javakheti State University

**Besik Tskifurishvili**
PHD Student, Samtskhe-Javakheti State University

**Abstract**
The article discusses the main characteristics of sustainable development, the essence of its components, the importance of individual components in the paradigm of sustainable development. One of the most important and necessary conditions for the model of sustainable development is the definition of means, methods and tools for its achievement. In the paper, "green economy" is considered as one of the important and effective tools for achieving the goals of sustainable development at the level of national strategies. The main changes affecting suppliers of green products and services can be reflected in such trends as innovative business models, flexible corporate structures, virtual platforms, new competitors and network effects. The essence of "green growth", the difference between the concepts of "green economy" and "green growth" is also presented.

**Keywords:** sustainable development, green economy, green growth.
**JEL:** Q01; Q56
**DOI:** 10.52244/c.2024.11.35

**References**

"Concept of National Security of Georgia".
https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/43156?publication=0

,,The Limits to growth; interview with the President of the Club of Rome, Aurelio Peccei".
https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000050609 https://www.clubofrome.org/about-us/history

A guide to the green economy. Issue 1: Green Economy, Green Growth, and LowCarbon Development - history, definitions and a guide to recent publications. Division for Sustainable Development, UNDESA. 2012. P. 64.
https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/GE%20Guidebook.pdf

A Guidebook to the Green Economy. Issue 2: exploring green economy principles. United Nations Division for Sustainable Development, UNDESA.2012. P.24.

Abesadze R. "Green" Economy. 2022. https://eas.tsu.ge/economy/green economy/8479/

Abuladze K. ESG Factors of Sustainable Development in Tourism Business and Educational programs. Jur. "Spectrum", 2023, #8(2).

Baratashvili E., Makharashvili-Baratashvili I., Zarandia J. "For the issue of sustainable development". Prof. G. Collection of materials of the international scientific conference dedicated to the 85th anniversary of Tsereteli's birth "Structural and innovative problems of economic development". Tbilisi, 2017.

Baratashvili E., Nasaraya Z., Galakhvaridze N., Mamulashvili L. Economy of Georgia. Tbilisi, 2022.

Bidzinashvili D. "Green economy as a means of bringing the highest capitalization to Georgia". TSU, Paata Gugushvili house Institute of Economics. Prof. A collection of materials of the international scientific conference "Structural and innovative problems of economic development" dedicated to the 85th anniversary of Giorgi Tsereteli's birth. Tbilisi, 2017. https://conferenceeconomics.tsu.ge/

Bliadze M. Sustainable Development Goals. Tbilisi, 2022.

Blueprint for a Green Economy. Submission to the Shadow Cabinet. Quality of Life Policy Group Chairman, Rt Hon John Gummer MP Vice-Chairman, Zac Goldsmith. September 2007. https://www.researchgate.net/publication/39015804_Blueprint_for_a_Green_Economy

Center for Environmental Information and Education of the LSI. Green Economy/Sector Overview. https://eiec.gov.ge/Home.aspx/Topics/OverView/15

European Commission, A Clean Planet for all, COM/2018/773, https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX%3A52018DC0773%2801%29&qid=1612807472609

European Commission, A new Circular Economy Action Plan, COM/2020/98. https://environment.ec.europa.eu/strategy/circular-economy-action-plan_en

Gelashvili M. "Green" economy - goals and advantages. Business and Law, 2022, 15(2), 82–87. https://ojs.b-k.ge/index.php/bk/article/view/764

Gelashvili M. The influence of "green economy" factors on the poverty level indicator, Jour. "Business and Legislation": Vol. 16 N. 2 (2023): https://ojs.b-k.ge/index.php/bk/article/view/809

Gergedava M. A history of sustainable development. https://sustainability.ge/sustainable-development-history/

Green Economy initiative. https://unece.org/fileadmin/DAM/timber/meetings/07-unep-eaton.pdf

GREEN GROWTH INDEX 2020. December 2020. GGGI TECHNICAL REPORT NO. 16. Measuring performance in achieving SDG targets. https://greengrowthindex.gggi.org/

https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/743GE%20Guidebook%202%20-%20Principles_final.pdf

Inclusive Green Growth: the Pathway to Sustainable Development. .P.1.Washington, D.C.: World Bank, 2012.

Mainstreaming the 2030 Agenda for Sustainable Development. https://unsdg.un.org/2030-agenda

MCED Ministerial Declaration. Preamble. p. 8, 19. E/ESCAP/MCED(05)/Rep. http://www.unescap.org/sites/default/files/1.%20Report%20of%20the%20Ministerial%20Conference%20on%20Environment%20and%20Development%20in%20Asia%20and%20the%20Pacific%2C%202005.pdf

National Sustainable Development Goals Document http://www.iccn.ge/files/national_matrix_explanatory_paper_georgia_geo.pdf

Nozadze d. "Sustainable development and its economic, ecological and social issues". Prof. G. A collection of materials of the international scientific conference dedicated to the 85th anniversary of Tsereteli's birth "Structural and innovative problems of economic development". Tbilisi, 2017.

OECD. Towards Green Growth. A Summary for Policy Makers. May 2011.

Programme for the Further Implementation of Agenda 21 and the outcomes of the World Summit on Sustainable Development (A/RES/64/236). https://www.iom.int/jahia/webdav/shared/shared/mainsite/policy_and_research/un/64/a-res-64-236.pdf

Repetto, R. C. World enough and time: Successful strategies for resource management. Yale University Press. New Haven, Connecticut. 1986.

Report of the World Commission on Environment and Development: Our Common Future https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/5987our-common-future.pdf .

Rostow, W.W. Theorists of economic growth from D. Hume to the Present / W.W. Rostow. – Oxford: Oxford University Press, 1990. – 736.

Solow, R.M. (1991) Sustainability: an economist's perspective. Paper presented at the XVIII J. Seward Johnson Lecture to the Marine Policy Center, Woods Hole ceanographic Institution at Woods Hole, Massachusetts, on June 14, 1991.

The concept of economic security of Georgia. V. Melkadze house SC Institute of Socio-Economic and Regional Problems. Tbilisi, 2003.

The EU Green Deal explained. https://www.nortonrosefulbright.com/en-nl/knowledge/publications/c50c4cd9/the-eu-green-deal-explained

The Global Green Economy Index ™. Measuring National Performance in the Green Economy. GGEI 2018. https://dualcitizeninc.com/global-green-economy-index

The Global Green Economy Index. Dual Citizen. https://dualcitizeninc.com/global-green-economy-index

The Transition to a Green Economy: Benefits, Challenges and Risks from a Sustainable Development Perspective. UNDESA, UNEP, UNCTAD. 2024. https://plagiarism.repec.org/trica-papuc/trica-papuc2.pdf

The United Nations in Georgia. Sustainable Development Goals". http://www.ungeorgia.ge/geo/sustainable_development_goals#.WiLgSCugfIV

Todua L., Murgulia Sh. Sustainable development and reforms of Georgia. Strategic Research and Development Center of Georgia. http://weg.ge/sites/default/files/lia_shota_geo.pdf.

Towards a Green Economy: Pathways to Sustainable Development and Poverty Eradication - A Synthesis for Policy Makers. UNEP, 2011. www.unep.org/greeneconomy

UN Documents Gathering a body of global agreements ,, Our Common Future, From One Earth to One World“ http://www.un-documents.net/ocf-ov.htm#1.2 .

UN General Assembly Resolution 66/288. The Future We Want. para. 3. https://www.un.org/en/development/desa/population/migration/generalassembly/docs/globalcompact/A_RES_66_288.pdf

United Nations. Georgia. Sustainable development goals. https://georgia.un.org/ka/sdgs

What does green economy mean? UNECE. https://www.unece.org/sustainable-development/green-economy/what-does-green-economy-mean.html